



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

### მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 17 მარტი, 2017 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ოფისი  
(ყოფილი ევროპის სახლი)

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. თამაზ ვაშაკიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
3. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
4. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერჯო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
5. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი „ეკოტექი“
6. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
7. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
8. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
9. გრიგოლ აბრამია - კავშირი გარემოს დაცვის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
10. თამარ მოსაშვილი - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
11. ვახტანგ ზარქუა - ენერჯოეფექტურობის ფონდი

## განსახილველი საკითხები:

- ✚ ინფორმაცია ახლად არჩეული საკოორდინაციო საბჭოს პირველ სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ;
- ✚ ჯგუფის მუშაობის სამომავლო გეგმები;
- ✚ საქართველოს მთავრობის მიერ გასხვისებული ენერგოგენერაციის ობიექტების დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობა;
- ✚ ენერგომატარებლებზე ტარიფების მომატება;
- ✚ საქართველოში ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდების მონიტორინგი და გარემოს დაბინძურების რისკების ანალიზი;
- ✚ საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული საშენი მასალების ეკოლოგიური სისუფთავე;
- ✚ საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის“ შესახებ.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფის კოორდინატორმა ჯგუფის წევრებს გააცნო მოკლე ინფორმაცია ახლად არჩეული საკოორდინაციო საბჭოს პირველ სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ<sup>1</sup> და გამოხატა მზაობა, რომ შემდეგ სხდომაზე, რომელიც 10 აპრილს გახლავთ ჩანიშნული განსახილველად წარადგინოს ჯგუფის წევრების მიერ დასმული საკითხები.

ორგანიზაციის: „ საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია“ წარმომადგენელმა ისაუბრა 2017 წლის საერთო კრების ორგანიზების ნაკლოვანებებზე. მათ შორის, ჯგუფების კოორდინატორების არჩევის პროცედურაზე და საბჭოზე განსახილველ საკითხად, ჯგუფს შესთავაზა სამუშაო ჯგუფების კოორდინატორების არჩევის წესი. აქვე დასძინა, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია წესდებაში ცვლილებების შეტანა. წესდებაში შესატან ცვლილებებზე ყურადღება გაამახვილეს ჯგუფს სხვა წევრებმაც.

საკითხთან დაკავშირებით პლატფორმის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო იქნება ის ჯგუფი, რომელიც იმუშავებს წესდების განახლების პროექტზე და განიხილავს პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წინადადებებს. აქვე დასძინა, რომ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს საერთო კრების დამატებით მოწვევა, რათა გადაწყდეს მოქმედი წესდებით გათვალისწინებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

თავის მხრივ, ჯგუფის კოორდინატორმა, „საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი“-ს წარმომადგენელმა მოუწოდა ჯგუფის წევრებს მოამზადონ წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელსაც თავად წარადგენს საბჭოს სხდომაზე.

---

<sup>1</sup> საბჭოს სხდომის ოქმი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: [http://eap-csf.ge/images/doc/oqmebi/minutes.10\\_03\\_2017.pdf](http://eap-csf.ge/images/doc/oqmebi/minutes.10_03_2017.pdf)

ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელმა, ბატონმა ვახტანგ ზარქუამ, უარი განაცხადა წესდებაში ცვლილებების შეტანის პროცესში მისი ორგანიზაციის მონაწილეობაზე, რადგანაც მიიჩნია, რომ აღნიშნული მიდგომა არ არის მართებული და აუცილებელია, შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ამ საკითხებზე.

შეხვედრის შემდეგი ნაწილი დაეთმო საქართველოს მთავრობის მიერ გასხვისებული ენერგოგენერაციის ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას. ჯგუფის კოორდინატორმა წარადგინა ინიციატივა, მომზადდეს წერილი სამინისტროსთვის და ეთხოვოთ მათ ხელშეკრულების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შემდეგ კი შემთხვევითი პრინციპის საფუძველზე, ადგილზე ჩასვლით შემოწმდეს რეალური მდგომარეობა. ორგანიზაციის: „საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია“ წარმომადგენელმა, ბატონმა ანზორ დუნდუამ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე, მისმა ორგანიზაციამ შეიმუშავა მიმართვის ტექსტი, თუმცა სამწუხაროდ პლატფორმის წევრებს შორის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ჯგუფის კოორდინატორებმა, ჯგუფთან შეთანხმებით, მიიღეს გადაწყვეტილება ხელახლა გავრცელდეს ბატონი დუნდუას მიერ მომზადებული მიმართვა და მიეწოდოს შესაბამის უწყებებს. გარდა ამისა, კოორდინატორებმა სთხოვეს სამდივნოს, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის შუამდგომლობით, ჩაინიშნოს შეხვედრა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან, რათა იმსჯელონ აღნიშნულ საკითხზე.

შემდეგ ეტაპზე, ჯგუფმა განიხილა ენერგომატარებლებზე ტარიფების მომატება. საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ზარქუამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2013 წელს მოზადებული აქვს კვლევა, რომელიც ამჯერადაც ძალაშია, რადგანაც რადიკალური ცვლილებები, ამ სექტორში, არ განხორციელებულა. ბატონმა დუნდუამ, ასევე ისაუბრა ქვეყნის ენერგეტიკულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ამ მხრივ ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ჯგუფის კოორდინატორმა სთხოვა სამდივნოს ბატონი ზარქუას დოკუმენტი, ბატონი ანზორის დოკუმენტთან ერთად გადაეგზავნოს ენერგეტიკის სამინისტროს, მათი სექტორალური შეხვედრების ფორმატში განსახილველად.

ჯგუფმა ასევე იმსჯელა საქართველოში ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდების მონიტორინგისა და გარემოს დაბინძურების რისკების შესახებ. როგორც ჯგუფის კოორდინატორმა, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელმა, გააჟღერა ინფორმაცია, ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდების აღმოჩენის შემთხვევაში კანონდამრღვევებს ეკისრებათ მხოლოდ ფულადი ჯარიმა, ხოლო ამოღებული პესტიციდების უსაფრთხო გადატანა/გადამუშავება არ ხდება. რაც თავის მხრივ, იწვევს ჯანმრთელობისა და გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან პრობლემებს. ამასთანავე, აღნიშნა, რომ ფერმერისთვის ვარგისიანი თუ ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდებისა გარჩევა შეუძლებელია. ჯგუფის წევრთა აზრით, მნიშვნელოვანია. როგორც შესაბამის პასუხისმგებელ სამინისტროებთან თანამშრომლობა, ასევე ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება, რათა სოფლად მცხოვრებ თემებს მიეწოდოთ ინფორმაცია ვადაგასული და ფალსიფიცირებული პესტიციდების გამოყენების მავნებლობის შესახებ. ქალბატონმა ფიროსმანაშვილმა, წარადგინა წინადადება, თავად შეიმუშაოს

პროექტის სამუშაო ვერსია და შემდგომ გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მოამზადონ პროექტი და მოიძიონ დონორი.

შემდეგ საკითხად განიხილეს, საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული საშენი მასალების ეკოლოგიური სისუფთავე. ჯგუფის კოორდინატორის ინფორმაციით, საქართველო აირჩეს საპილოტე ქვეყნად ენერგოეფექტური მშენებლობისათვის. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოებისთვის არ მიუწოდებიათ. გამოითქვა მოსაზრება შეხვდნენ სამინისტროებს და მოითხოვონ კონკრეტული, დეტალური ინფორმაციის მიღება. თუმცა მანამდე პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ, ეთხოვოთ შემდეგ შეხვედრაზე დასწრება, რათა არგუმენტირებულად განიხილონ აღნიშნული საკითხი.

ჯგუფმა ასევე იმსჯელა საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის“ შესახებ. როგორც ბატონმა ვაშაკიძემ აღნიშნა, კანონპროექტი ხელმისაწვდომი იყო ჯგუფის წევრებისთვის და ჯგუფი მუშაობს ამ საკითხზე. შემდეგი შეხვედრისთვის გადაწყდა მოიწვიონ ორგანიზაციის: „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ ექსპერტი, ქალბატონი ნინო შუმტაკაშვილი და მასთან ერთად განიხილონ ეს საკითხი.

პლატფორმის თავმჯდომარემ ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინა წინადადება იმუშაონ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის დღის წესრიგის მიხედვით. რამდენადაც წინასწარ არის ცნობილი ასოცირების სამოქმედო გეგმა, სამუშაო ჯგუფებმა განსაზღვრონ სამუშაო წელს და შემდეგი წლის დასაწყისში გაწერილი საკითხები და წინასწარ ჩამოაყალიბონ პოზიციები. აღნიშნული მიდგომით, პლატფორმა თავიდან აიცილებს საკითხების მოსამზადებლად არსებული დროის სიმცირის ფაქტორს და მეტად მომზადებული წარსგდება სამინისტროს წინაშე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.